საქართველოს კანონი

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 31 მაისი, 1997, გვ. 15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ძ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ძ^{1}) განახორციელოს სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, 21-ე მუხლის პირველი–მე-4 პუნქტებით, 23-ე მუხლის პირველი–მე-4 პუნქტებითა და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობა;“.

2. 21^{1} მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) დაარღვია „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19, 21-ე და 24-ე მუხლების ან/და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 33^{7} მუხლი:

„მუხლი 33^{7}. „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინიციატორის მიმართ იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციის ან გაკოტრების რეჟიმის წარმოება

თუ იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციის ან გაკოტრების რეჟიმში მყოფი მზღვეველი იმავდროულად „ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინიციატორია, მზღვეველის მიმართ იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციის ან გაკოტრების პროცესი წარიმართება იმავე კანონის მე-18, მე-20 და 22-ე მუხლებით დადგენილი სპეციალური დებულებების გათვალისწინებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

15 დეკემბერი 2023 წ.

N3929-XIIIმს-Xმპ